საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7556
08/09/2023

7556-21-2-202309081239

შპს „ჯეობლუბერს“
მის: ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ. №82, ბინა №27
ელ. ფოსტა: shota776.sm@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7687 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ შპს „ჯეობლუბერი“ ლურჯი მოცვის პლანტაციის მოწყობას გეგმავს კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 26.25.08.265), რისთვისაც გათვალისწინებულია სამელიორაციო სისტემის მოწყობა. დოკუმენტში წარმოდგენილი GPS კოორდინატების გადამოწმებით დგინდება, რომ სარწყავი სისტემის შემადგენელი 3 500 m^3 მოცულობის მქონე წყალშემკრები და ფერტიგაციის რეზერვუარები, ასევე, მილსადენის გარკვეული ნაწილი ხვდება მომიჯნავედ, შპს „ლურჯი მოცვის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 26.25.08.263). შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის (სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია) განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
- დოკუმენტის მე-4 თავში აღნიშნულია, რომ „ნიადაგის დაცვის კუთხით, წარმოქმნილი საქმიანობის შედეგად არ არსებობს რისკფაქტორები, ვინაიდან, სარწყავი სისტემის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული მიწის სამუშაოებთან“, ხოლო მე-5 თავში მითითებულია, რომ „მაგისტრალური და დამხმარე მილები ჩალაგებული იქნება 50 სმ სიღრმის ტრანშეაში“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ტრანშეის მოსაწყობად ამოღებული გრუნტისა და მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადების მე-4 თავში მითითებულია, რომ „სარწყავი წყლის აღება განხორციელდება ჭაბურღილიდან, რომელიც მდებარეობს კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე. აღნიშნულ ჭაბურღილზე მიღებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია“. თუმცა, აღნიშნული ლიცენზია წარმოდგენილი არ არის;

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სამელიორაციო სისტემის მოწყობის პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკისა და სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების მე-5 თავში აღნიშნულია, რომ ჭაბურღილიდან წყალშემკრები რეზერვუარი დაშორებული იქნება 565 მეტრით. ამასთან, ამავე თავში მითითებულია, რომ ჭაბურღილიდან რეზერვუარამდე გათვალისწინებული მაგისტრალური მილსადენის ჯამური სიგრძე იქნება 74 მეტრი. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მაგისტრალური მილსადენის სიგრძის შესახებ ინფორმაცია. გარდა ამისა, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სამელიორაციო სისტემის შემადგენელი დამხმარე მილსადენების სიგრძე.
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს წყალაღების წერტილიდან საპროექტო ხაზობრივი ნაგებობის დერეფნის დეტალური აღწერა, სიტუაციური რუკის თანდართვით და მაგისტრალური და დამხმარე მილსადენების სიგრძეების მითითებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE